MES 5 22 0000010889

11/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციი სსაბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომისთარიღი: 21.12.2021
სხდომისდაწყებისდრო: 15:00 სთ
სხდომისდასრულებისდრო: 19:00სთ
საბჭოსთავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი
საბჭოსმდივანი: მარიამშენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოიმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამშენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანესიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **გაიოზფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

7. **ელიზბარელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგიღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავითკაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანამჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინო ინასარიძე** - ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი.

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო ტალიაშვილი	**შპსევროპის უნივერსიტეტი**	რექტორი	I
2	სოფიო ხუნდაძე		ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	I
3	ნინო ფეტვიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი;	I
4	მარიამ ბოჭორიშვილი		სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I

5	ელენე ჩოქური		სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	I
6	ანა გვრიტიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
		სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
7	ჯახა ციმენტია			II
8	ირმა დიხამინჯია			II
9	რომეო გალდავა			II
10	კოპალიანი ქეცბაია			II
11	სოფო ხუნდაძე	**სსიპ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	III, IV
12	თათია ხარაბაძე		ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი	III, IV
13	თეონა გრიგოლაშვილი		სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი	III, IV
14	აკაკი მოსახლიშვილი		ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	რომეო გალდავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკატერინე კვირიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი მეშველიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	მარინა ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ეკატერინე მიქელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ზურაბ ჯანხოთელი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
12	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
13	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
14	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გენდერის კვლევის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს - ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

შუამდგომლობა დღისწესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
კი
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა და საბჭოს წევრთა თანხმობის საფუძველზე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გენდერის კვლევის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.
დამტკიცებულიდღისწესრიგი:

1. შპს - ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1.პირველი საკითხი : შპს - ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხური
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით.
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზ. N°76, თბილისი, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა და მაკა კაჭარავამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 13 ოქტომბერს შპს ევროპის უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის "საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის" აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დისტანციურად დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

შპს - ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსებზე დაშვების წინაპირობები კერძოდ, „წრფივი ალგებრის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ელემენტარული ალგებრა“, ხოლო „ანალიზური გეომეტრიის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ელემენტარული გეომეტრია“;

2. რეკომენდებულია, შეიცვალოს „ელემენტარული ალგებრის“ სასწავლო კურსის სახელწოდება, ან მისი შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ სახელწოდებასთან;
3. წარმოდგენილი პროგრამისთვის შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი, რომელიც პრაქტიკის კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით, დეტალურად აღწერს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს, მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს და ასევე დაადგენს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;
4. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხედვა და შეიმუშავოს შესაბამისი სტრატეგია პრაქტიკის კვლევის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებ სდაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება სამაგისტრო ნაშრომის წესში გააკეთა დამატებითი ჩანაწერი, რაც მოიცავს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს, წარმოდგენილია ასევე კრიტერიუმებიც. ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს: ა) ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; ბ) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელად შეიძლება დაშვებულ იქნას განსაკუთრებული პრაქტიკული გამოცდილების და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. ამ კრიტერიუმებს დაწესებულებამ ასევე დამაატე, რომ აუცილებელია მაგისტრის ხარისხის მქონე პირ ასევე ჰქონდეს ნაშრომის ხელმძღვანელობის გამოცდილება. აქედან გამომდინარე, დაწესებულება გადათვალა არსებული რესურსი და დადგინდა რომ უნივერსიტეტში არის 11 აკადემიური პერსონალი, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომს.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს გამოცდილება ჩაატაროს აუცილებელი ტრენინგები პერსონალისთვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი და ასევე სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომლის ფარგლებშიც ტარდება რეკომენდაციაში აღნიშნული ტიპის ტრენინგები.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ სრულიად გაიზიარა პირველი და მეორე რეკომენდაცია და შესაბამისად განახორციელა აუცილებელი ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტების მიუთითებენ, რომ სწავლის შედეგებში სრულად უნდა აისახოს ცოდნა და უნარები, რომლებიც მათემატიკის ძირითადი კონცეფციებისა და პრინციპების მიმართულებით იქნება. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს მეტი განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში 60 კრედიტი ეხება პრაქტიკის კვლევის კომპონენტს. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ამ ნაწილში პროგრამის პრაქტიკის გაზიარებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ რჩევა, რომელიც გულისხმობდა ცოდნა გაცნობიერების ნაწილში მათემატიკური საკითხების ასახვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამაში სრულად არის მოცემული სტანდარტით განსაზღვრული ყველა საკითხი, თუმცა გარდა ამისა, პროგრამაში არის ისეთი

საკითხები, რომლებიც რიგ საკითხებზე უფრო მაღლა დგას. აქედან გამომდინარე რჩევა გულისხმობდა რომ მომხდარიყო აღნიშნულის ასახვა. მოცემული არ გულისხმობს იმას, რომ პროგრამა რაიმე სტანდარტთან შესაბამისობის ნაწილში ხარვეზიანია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მათემატიკური ნაწილის გაძლიერებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება ეყრდნობა მასწავლებლის სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, პროგრამა ფარავს აბსოლუტურად ყველა საკითხს. აღსანიშნავია, რომ დანართებში თითოეული შედეგი დეტალურად არის ჩაშლილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყები სდრო: 15:35

დასრულების დრო: 15:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება და მიიჩნია, რომ 1.2 და 4.1, კომპონენტები ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზ ედააყენა: შპს - ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში სრულად აისახოს ის ცოდნა და უნარები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს მათემატიკის ძირითადი კონცეფციების, პრინციპების და თეორიების მიმართულებით.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსებზე დაშვების წინაპირობები კერძოდ, „წრფივი ალგებრის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ელემენტარული ალგებრა“, ხოლო „ანალიზური გეომეტრიის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „ელემენტარული გეომეტრია“;
3. რეკომენდებულია, შეიცვალოს „ელემენტარული ალგებრის“ სასწავლო კურსის სახელწოდება, ან მისი შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ სახელწოდებასთან.
4. წარმოდგენილი პროგრამისთვის შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი, რომელიც პრაქტიკის კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით, დეტალურად აღწერს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს, მოთხოვნებსა და შეფასების კრიტერიუმებს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს და ასევე დაადგენს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს;
5. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს პრაქტიკის კვლევის გამოცდილების მქონე პერსონალით ან დაწესებულებამ შეიმუშაოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია პრაქტიკის კვლევის მიმართულებით;

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის მიზნებში აისახოს მათემატიკის წმინდა და გამოყენებითი მიმართულებით ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობა;
2. სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.

3. სასურველია, „ოპტიმიზაციის მოდელების“ სასწავლო კურსში დამატებით განხილულ იქნას ოპტიმიზაციის სხვა კლასიკური ამოცანები და მეთოდები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის ,, საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო'' პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

2.მეორე საკითხი : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია 27.11.2012, გადაწყვეტილება N 725
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N61, თბილისი, 0186,საქართველო. პირველი სასწავლო კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომა დატოვა გიორგი ღაღანიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ აკრედიტაციის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 19 ნოემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom პროგრამული პლატფორმის მეშვეობით. ვიზიტამდე, 2021 წლის 18 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით, Zoom-ის მეშვეობით, შედგა ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეკრება. შეხვედრაზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ვიზიტის დღეს ინტერვიუს პროცესში დასაზუსტებელი აუცილებელი კითხვები. 2021 წლის 19 ნოემბერს, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, სტუდენტთა სამუშაო სივრცე, კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი და ა.შ) დათვალიერება, განხორციელდა ვიდეო ჩართვა, ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიიდან, აგრეთვე, ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამის თითოეული სტანდარტის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხ ესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის ,,ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას" დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.
2. გადამუშავდეს მაინორ პროგრამის შედეგი ,,აყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე.
3. პროგრამის სტრუქტურაში აუცილებელია დეტალური სფეროს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის გაზრდა.
4. ზუსტად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად კონკრეტული სასწავლო კურსები, რომელთა გავლის გარეშე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად.
5. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სწავლების პროცესში აქტიურად იქნეს გამოყენებული პრაქტიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამის შედეგები ჩამოყალიბდა ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აღნიშნულის მიხედვით მოხდება დეტალური სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსებში კრედიტების რაოდენობის გაზრდა. არჩევითი სასწავლო კურსებიდან ძირითად სასწავლო კურსებში მაპროფილებელი სასწავლო კურსების გადატანა დეტალური სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების გაფართოება.

მნიშვნელოვანია ასევე დასკვნაში არსებული მე-4 რეკომენდაცია, კერძოდ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციაში ზოგადად გაწერილია საბაკალავრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა, თუმცა რეკომენდაციის შესაბამისად, უფრო კონკრეტულად განისაზღვრება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც აუცილებელი იქნება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, მისი გათვალისწინებით შესაბამის სასწავლო კურსებში გაძლიერდება პრაქტიკული ნაწილი და გამოყენებული იქნება რელევანტური პრაქტიკული სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:00

დასრულების დრო: 16:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შედეგის ,,ცნობს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების საჭიროებას" დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს შედეგის გაზომვა.
2. გადამუშავდეს მაინორ პროგრამის შედეგი ,,აყალიბებს ეფექტიან გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, კრიტიკულად გააზრებისა და არსებული მონაცემების (პირობების) ანალიზის საფუძველზე".
3. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში დეტალური სფეროს სასწავლო კურსების (ეკონომეტრიკის საფუძვლები, ფირმის ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკა) კრედიტების რაოდენობის გაზრდა.
4. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად დაზუსტდეს ის სასწავლო კურსები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტს.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში გაძლიერდეს პრაქტიკული ნაწილი და სწავლების პროცესში აქტიურად იქნეს გამოყენებული პრაქტიკული სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

რჩევები:

1. მიზანშეწონილია, ,,სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების" დოკუმენტით განისაზღვროს პირობა, რომლითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნდა გამოიყენებოდეს იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.
2. სასურველია თავისუფალი კრედიტის სახით, უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსების ჩართვა პროგრამაში, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციას (გაცვლითი პროექტების კუთხით).
3. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს და გაზრდის უსდ-ს ინტერნაციონალიზაციას.
4. სასურველია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ელექტრონულ პორტალის ფუნქციონირებას და მყისიერი ქმედება განახორციელოს სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორებაზე.
5. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რათა მათ მიეწოდოთ ადეკვატური ინფორმაცია უნივერსიტეტის საკომუნიკაციო არხებისა და მათი გამოყენების შესახებ.
6. სასურველია უსდ-მ სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ ინფორმაცია (ცნობარი) გაავრცელოს ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით.
7. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების უფრო ეფექტურად იმპლემენტაციის და შესაბამისი კვლევების ჩატარების მიზნით ხარისხის შეფასების პროცესში დაინერგოს მართვის თანამედროვე ონ-ლაინ პლატფორმების გამოყენება.
8. დარგის საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდეს პროგრამების შედარების შედეგად გამოვლენილი მსგავსება-განსხვავების დეტალური და სიღრმისეული ანალიზი.

9. განხორციელდეს კოლეგიალური შეფასების მიღება წამყვან უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,, ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლისვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3.მესამე საკითხი : შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №262, 11.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	წერეთლის ქ. N 13, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
სხდომას შემოუერთდა გიორგი ღაღანიძე

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვაექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 16 ნოემბერს განხორციელდა აკრედიტაციის ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პირველადი მიგნებების შესახებ. დღის განრიგის მიხედვით შეიმუშავეს კითხვები და მოინიშნეს დასაზუსტებელი საკითხები, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთებოდა. აკრედიტაციის ვიზიტი გამართა 2021 წლის 17 ნოემბერს. ონლაინ რეჟიმში „ZOOM.us“ პროგრამული უზრუნველყოფით, მიმდინარე COVID-19 დაკავშირებული შეზღუდვების გამო. პროგრამული მხარდაჭერა და პროცესის ინფორმაციული მართვა განხორციელდა „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ. აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2021 წლის 17 ნოემბერს. 9:40-დან 19:00 საათამდე. სააკრედიტაციო ონლაინ ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულად, წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის პერიოდში იყო პროფესიული ურთიერთანამშრომლობით და საქმიანი გარემო.

ცალკე მსჯელობის საკითხია სასწავლო კურსი „მეწარმეობა“, მიუხედავად იმისაა, რომ ზოგადად მსოფლიოში არსებობს მეწარმეობის სწავლების მიდგომა, რომელიც აღნიშნული სილაბურითაა და მისი მიზანია: გაიცნოს ბიზნესის დაფუძნების პროცედურა და მასთან დაკავშირებული რისკების; გამოავლინოს ბაზარზე არსებული მოთხოვნა პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე; სიღრმისეულად ეცნობა ბიზნეს მოდელებს და მათი განვითარებას ბიზნეს ინვესტიციის (ბანკის სესხის) გზით. თანამედროვე მსოფლიო მეწარმეობის სწავლებას სხვაგვარად უყურებს, რომელიც განმარტებულია ევროსაბჭოს მიერ 2016 წელს ფართო მასშტაბიანი კვლევის საფუძველზე გამოქვეყნდა „სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩოში“. ამ დოკუმენტის თანახმად მეწარმეობის ფართო განმარტება, შემდეგნაირია, „მეწარმოება მოიცავს კულტურულ, სოციალურ, თუ ეკონომიკურ ღირებულებას. მოიცავს სხვადასხვა სახის მეწარმეობას, შიდა კორპორაციულ მეწარმეობას, სოციალურ მეწარმეობას, მწვანე და ციფრულ

მეწარმეობას. ეს ეხება ინდივიდებსა და ჯგუფებს (გუნდებსა და ორგანიზაციებს) და მოიცავს კერძო, საჯარო და მესამე სექტორში ღირებულების შექმნას.
შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სისტემატურად უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში.
2. სასწავლო კურსს „მეწარმეობა“ უნდა შეეცვალოს სახლი ანდა უნდა მოხდეს მისი სრულად გადამუშავება, რათა შეესაბამებოდეს ევროსაბჭოს მიერ 2016 წელს ფართო მასშტაბიანი კვლევის საფუძველზე გამოქვეყნებულ „სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩოს“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულების ხარისხის განვითარების ნაწილში შემუშავებული აქვს პროგრამის განვითარების წლიური ანგარიში. ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განახლდა წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში ძირითადი თუ დამატებითი ლიტერატურა. ამასთანავე, ყოველი სემესტრის დასაწყისში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითხოვს ინფორმაციას პროგრამაში განახლებული ლიტერატურის შესახებ, რომ შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდოს ბიბლიოთეკას და მოხდეს განახლებული ლიტერატურის შეძენა. შესაბამისად, მექანიზმი უნივერსიტეტის დონე ნამდვილად შემუშავებულია. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ძირითადად ქართულენოვანი, ზოგიერთ სასწავლო კურსში კი თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს დარგში საერთაშორისო და თანამედროვე მიღწევების გაზიარებასა და შესწავლას. სასწავლო კურსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება უზრუნველყოფილია მათზე დაშვების წინაპირობად დარგობრივი ინგლისურის განსაზღვრით. ამასთან აღსანიშნავია, რომ გარკვეულ სასწავლო კურსებში გამოყენებულია ინგლისურენოვანი თანამედროვე სავალდებულო ლიტერატურა, რაც ასევე ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და საფეხურთან, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსში განსაზღვრული თემატიკით. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით. სასწავლო კურსის

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა თანამედროვეა. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს რეკომენდაციას. დაწესებულება აუცილებლად მოახდენს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს დაეზუსტებინა, თავის მხრივ ლიტერატურის განახლება უკავშირდება თუ არა ხარვეზს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიუჯეტი, თუმცა არ არის წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი. გარდა ამისა, საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფს მოუწოდა 2.3 ქვესტანდარტში არსებული რჩევის, რაც გულისხმობს სასწავლო კურსების ოპტიმიზაციას, დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, კომპონენტში არსებული რეკომენდაცია მოიცავს ეკონომიკური პროფილის გაძლიერების საკითხებს, რაც აუცილებელია დაზუსტდეს ექსპერტთა მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააზუსტა, თუ რამდენად იზიარებს დაწესებულება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ ძირითად და საფაკულტეტო ბიუჯეტს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი იყო მიღწევადი, იმ მხრივ რომ იყო დაყოფილი. შესაბამისად, ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ ბიუჯეტის ამგვარად წარმოდგენა იყო ოპტიმალური. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ფინანსური ნაწილი საკმაოდ კარგად აქვს გათვლილი და გააზრებული. კონკრეტული რჩევა კი გამოიხატება იმაში, რომ დაწესებულება მოქმედებდეს სტუდენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე.

რაც შეეხებოდა საგნების ოპტიმიზაციას, მეწარმეობასთან და მსგავს მომიჯნავე დისციპლინებთან შესაძლებელი იყო, რომ მომხდარიყო მათი გაერთიანება ერთ საგანში ან ჩართვა რამდენიმე თემის სახით. ასევე ლიტერატურის განახლებაში ექსპერტები გულისხმობდნენ არა იმას, რომ აღნიშნული არ შეესაბამება სილაბუსის შინაარსს და წარმოადგენს ხარვეზს, არამედ უმჯობესია მოხდეს ზოგ შემთხვევაში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის განახლება და გამრავალფეროვნება.

ექსპერტებმა ასევე ისაუბრეს საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, კერძოდ კვლევითი უნარების განვითარების შესაძლო მაქსიმუმს პროგრამის ფარგლებში სავალდებულო კომპონენტი - „საბაკალავრო ნაშრომი“ წარმოადგენს 5 კრედიტის მოცულობით. ვინაიდან კვლევითი უნარების განვითარებასთან ერთად საბაკალავრო ნაშრომი სწავლის შედეგების მაქსიმალური მიღწევადობის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს, ექსპერტთა მოსაზრებით ამ კომპონენტისთვის 5 კრედიტი არასაკმარისია და მას მეტი ხვედრითი წონა ეკუთვნის პროგრამის კრედიტების სისტემაში.

რაც შეეხება გადაფარვების საკითხს, საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასების კრიტერიუმებსა და ხელმძღვანელის/რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმებში გვხდება რამდენიმე გადაფარვა, მაგალითად, გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და დასმული მიზნების შესაბამისობა მიღებულ შედეგებთან მეორდება ორივე შემთხვევაში. შესაძლოა მოცემული ორი პუნქტი ჩანაცვლდეს სხვა შესაბამისი კრიტერიუმებით, თუმცა აღნიშნული არ იყო მასშტაბური ხასიათის შესაბამისად განისაზღვრა რჩევის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რის განახლებაც შეიძლებოდა დაწესებულების მიერ განახლდა. მაქსიმალურად იქნა ასევე გამოყენებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები სადაც ტექნიკურად არსებობდა ამის შესაძლებლობა.

რაც შეხება ეკონომიკური მიმართულების გაძლიერებას, მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა, კონკრეტულად ერთ სასწავლო კურსის, ,,ეკონომიკური პოლიტიკის" დამატებას. ამ ტიპის რეკომენდაცია, დაწესებულებამ გარე შემფასებლისგანაც მიიღო და მიმდინარეობდა ამ კუთხით მსჯელობები, თუმცა ამ ეტაპზე არ განხორციელებულა საგნის დამატება, ვინაიდან კონკრეტული სასწავლო კურსები მოიცავენ აღნიშნულ საკითხებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:45

დასრულები სდრო: 18:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება და მიიჩნია, რომ მეორე სტანდარტი და 2.4 კომპონენტი ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რეკომენდციები:

1. რეკომენდებულია სისტემატურად უნდა ხდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება, რათა იგი ასახავდეს დარგის თანამედროვე მიღწევებს და მოიცავდეს უახლეს კვლევებს ამ სფეროში.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „მეწარმეობა" უნდა შეეცვალოს სახელი ან/და უნდა მოხდეს მისი სრულად გადამუშავება, რათა შეესაბამებოდეს ევროსაბჭოს მიერ 2016 წელს ფართომასშტაბიანი კვლევის საფუძველზე გამოქვეყნებულ „სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩოს".
3. რეკომენდებულია განხორციელდეს რიგი სასწავლო კურსების (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები) გადახედვა/ ოპტიმიზაცია დაეკონომიკური პროფილის გაძლიერება.
4. რეკომენდებულია გადახედილ იქნას საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში კრედიტების/საკონტაქტო საათების რაოდენობა სილაბუსის და პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით.
5. რეკომენდირებულია წარმოდგენილ იქნას პროგრამის ბიუჯეტი პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია მიზნებში დეკლარირებული წინადადება „განუვითაროს სტუდენტს კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი, რაც მას დაეხმარება როგორც შრომის ბაზარზე, ასევე აკადემიურ სივრცეში წარმატების მიღწევაში" ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით „განუვითაროს კვლევის წარმართვის უნარი, რაც მას დაეხმარება როგორც შრომის ბაზარზე, ასევე აკადემიურ სივრცეში წარმატების მიღწევაში".
2. სასურველია მეტი მასალის/ სტატიების მიწოდება უცხო ენაზე, დარგის სიახლეების გასაცნობად (ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის მოთხოვნის საფუძველზე);

3. სასურველია სილაბუსში დასახელდეს ის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც კონკრეტულ სასწავლო კურსშია ინტეგრირებული.
4. სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში.
5. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
6. სასურველია უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.
7. ინფორმაციის სრულყოფილად მიღების და დამუშავების მიზნით სასურველია სტუდენტის და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას **მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლისვადით, 1 წლის თავ ზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.**

4.მეოთხე საკითხი : შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N137 03.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა

6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 - ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	წერეთლის ქ. N 13, ქ. ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე ნაცვლიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
სხდომა დატოვა გიორგი ღაღანიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 16 ნოემბერს განხორციელდა აკრედიტაციის ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პირველადი მიგნებების შესახებ. დღის განრიგის მიხედვით შეიმუშავეს კითხვები და მოინიშნეს დასაზუსტებელი საკითხები, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთებოდა. აკრედიტაციის ვიზიტი გამართა 2021 წლის 17 ნოემბერს. ონლაინ რეჟიმში „ZOOM.us“ პროგრამული უზრუნველყოფით, მიმდინარე COVID-19 დაკავშირებული შეზღუდვების გამო. პროგრამული მხარდაჭერა და პროცესის ინფორმაციული მართვა განხორციელდა „განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ. აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2021 წლის 17 ნოემბერს. 9:40-დან 19:00 საათამდე. სააკრედიტაციო ონლაინ ვიზიტი მიმდინარეობდა კონსტრუქციულად, წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის პერიოდში იყო პროფესიული ურთიერთთანამშრომლობით და საქმიანი გარემო.

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. სასურველია ფრაზაში „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს:“ ჩაემატოს პროფესორ-მასწავლებელი, ან მსგავსი შინაარსის ფრაზა.
2. პროგრამის შინაარსის და კომპლექსურობის გასაძლიერებლად სასურველია სასწავლო კომპონენტს დაემატოს ეკონომიკური პოლიტიკის კურსი.
3. მიზანშეწონილია რეგულარულად ხდებოდეს სასწავლო კურსების გადახედვა/ ოპტიმიზაცია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის გაძლიერების მიზნით;
4. სასურველია სისტემატურად ხორციელდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის განახლება/შევსება.
5. სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, მათი სტატიების გამოქვეყნებას ისეთ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებული არიან Scopus-ში და სხვ.
6. კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.
7. ინფორმაციის სრულყოფილად მიღების და დამუშავების მიზნით სასურველია სტუდენტის და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კმაყოფილების კვლევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს გამოკითხვა და ზოგადი კვლევა, რომელიც პროგრამის მიხედვით დაყოფილი არ არის, მაგრამ კითხვები იმდენად ზოგადია, რომ არ აქვს მნიშვნელობა თუ რომელი პროგრამის სტუდენტი იძლევა აღნიშნულზე პასუხს. თუმცა დაწესებულებას აქვს ასევე ისეთი გამოკითხვები, რომლებიც კონკრეტულ პროგრამებს ეხება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა თუ დოქტორანტის მხარდაჭერის რა მექანიზმები არსებობს დაწესებულებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ 2.3 კომპონენტში ექსპერტების მიუთითებენ დამხმარე და სავალდებულო ლიტერატურის განახლებას, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს პოზიციის დაფიქსრებისკენ.
გარდა ამისა, აღსანიშნავია, 3.2 კომპონენტში არსებული რჩევა, რომელიც ეხებოდა საკვლევი თემი ფარგლებში გამოქვეყნებული სტატების მიმართ დაკონკრეტებას. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბიუჯეტი, თუმცა არ არის წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა ნაშრომის გაფორმებისა და პლაგიატის საკითხები.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენციის საკითხი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფს თავმჯდომარემ ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგნების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსის თემატიკას, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოძველებულია და განახლებას საჭიროებს. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მოძველებულ სავალდებულო ლიტერატურასთან ერთად, დამხმარე მასალებში ხშირად მითითებულია უკანასკნელი პერიოდის სტატიები და ინტერნეტ-რესურსები, რომლებიც სტუდენტებს დარგის აქტუალურ მიღწევებზე/ უახლეს კვლევებზე აწვდიან ინფორმაციას, რაც სადოქტორო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ ძირითად და საფაკულტეტო ბიუჯეტს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი იყო მიღწევადი, იმ მხრივ რომ იყო დაყოფილი. შესაბამისად, ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ ბიუჯეტის ამგვარად წარმოდგენა იყო ოპტიმალური. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ფინანსური ნაწილი საკმაოდ კარგად აქვს გათვლილი და გააზრებული.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებგვერდიდან და ფაკულტეტისგან. უშუალოდ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. ზოგადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი მისაღებია (სულ 25, სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობა). თუმცა, მათგან მხოლოდ ერთი სტატიაა გამოქვეყნებული ისეთ მაღალრეიტინგულ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და სტატიების გამოქვეყნება, ეს გასაგებიცაა, რადგან 31 დოქტორანტურის დებულებით დოქტორანტს მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული მინიმუმ 2 ნაშრომი, ამასთან, დოქტორანტს საკვლევი თემის ფარგლებში გამოქვეყნებული (ან მიღებული დასაბეჭდად) უნდა ჰქონდეს სტატია იმპაქტ-ფაქტორის peer reviewed ჟურნალში, ან/და რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდვით ჟურნალში, ან/და საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში. მსგავსი მაღალი აქტივობა სტუდენტების მხრიდან არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მხარდაჭერ ხონისძიებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კერძოდ, სასწავლო კურსების/კომპონენტების „კვლევის მეთოდები ეკონომიკაში“, „ეკონომეტრიკა“, „სემინარი“ ფარგლებში დოქტორანტები ახდენენ ემპირიული კვლევით მოპოვებული მონაცემების დამუშავებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტები ქმნიან სამეცნიერო პუბლიკაციას სადოქტორო კვლევითი პროექტის ფარგლებში მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით. დოქტორანტს მოეთხოვება სადოქტორო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული მინიმუმ 2 ნაშრომი, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება). 2021 წლის 16 აპრილს უნივერსიტეტის რექტორის №ძ 60 ბრძანებით დამტკიცდა შპს “ქუთაისის უნივერსიტეტის” სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი. სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით აღნიშნული წესის ფარგლებში სასწავლო წლის მანძილზე არანაკლებ ერთხელ უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს. წინა წელს გამოცხადებულ კვლევით პროექტში მონაწილეობას იღებდა დოქტორანტი, მოცემული პროექტი დაფინანსებული იყო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც საკმაოდ აქტიურად შეიმუშავებს სხვადასხვა ვორქშოფებსა და ტრენინგებს კვლევითი უნარების განვითარებასთან დაკავშრებით. აღნიშნულის შეთავაზება ხდება როგორც პეროსნალისთვის, ასევე დოქტორანტებისთვის.

რაც შეეხება ლიტერატურის განახლების საკითხს, დაწესებულებას მაქსიმალურად აქვს გამოყენებული უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურა. გამომდინარე იქიდან რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, აღნიშნული დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას, რომ მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა სავალდებულო ლიტერატურის სახით.

აღსანიშნავია ასევე, რომ სადისერტაციო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამის ,,StrikePlagiarism” გამოყენებით. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შესახებ. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელმა, ნაშრომის შესრულების შესახებ დასკვნის დაწერამდე, უნდა გაითვალისწინოს წარმოდგენილი ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების დასკვნა და შემდეგ განსაზღვროს შესრულებული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის საკითხი. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შედეგად პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი მხოლოდ ერთხელ უბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი მხოლოდ აღნიშნულის განსაზღვრის შემდეგ ამზადებს დასკვნას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის მზაობის შესახებ

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:45

დასრულების დრო: 18:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება და მიიჩნია, რომ 2.4, 3.2 და 4.4 კომპონენტები ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' შუნდა შეფასდეს როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად, განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus-ისა და Web of Science) ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება.
2. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.
3. რეკომენდირებულია წარმოდგენილ იქნას პროგრამის ბიუჯეტი პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

1. სასურველია ფრაზაში „ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის მომზადება აკადემიური და ბიზნეს კარიერისათვის, რომელიც შეძლებს:“ ჩაემატოს პროფესორ-მასწავლებელი, ან მსგავსი შინაარსის ფრაზა.
2. პროგრამის შინაარსის და კომპლექსურობის გასაძლიერებლად სასურველია სასწავლო კომპონენტს დაემატოს ეკონომიკური პოლიტიკის ამსახველი საკითხები.
3. სასურველია სისტემატურად ხორციელდებოდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამხმარე მასალის ლიტერატურის განახლება/შევსება.
4. სასურველია სადოქტორო ნაშრომებში პლაგიატის პრევენციის მექანიზმების მეტი სრულყოფა.
5. სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე, მათი სტატიების გამოქვეყნებას ისეთ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებუნი არიან Scopus-ში და სხვა.
6. სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება.
7. სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის (საჭიროების მიხედვით) ენობრივი კომპეტენციის განვითარება კვლევის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად.
8. ინფორმაციის სრულყოფილად მიღების და დამუშავების მიზნით სასურველია სტუდენტის და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ქუთაისის უნივერსიტეტის ,,ეკონომიკის'' სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ

ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს. აკრედიტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ